სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

30. 12. 2010 №173

თბილისი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
არჩევნების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, უნივერსიტეტის წესდების, „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულებისა და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 დეკემბრის №375 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2011 წლის 10 იანვრიდან დაიწყოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების პროცესი.
2. კანდიდატებმა განცხადება შეიტანონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელსაც თან უნდა დაერთოს პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა დაკავებული თანამდებობის შესახებ, სამოქმედო გეგმა, ინფორმაცია განათლების, შრომითი გამოცდილებისა და აკადემიური ხარისხის თაობაზე (CV).
3. არჩევნების შესახებ განცხადების ბეჭდითი მედიის ორგანოში გამოქვეყნდეს 2011 წლის 10 იანვარს.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2011 წლის 20 იანვარს და გაგრძელდეს 29 იანვარს ჩათვლით. არჩევნები აკადემიურ საბჭოში გაიმართოს 2011 წლის 7 თებერვალს;
5. აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატი წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს არაუგვიანეს 2011 წლის 10 თებერვლისა.
6. წარმომადგენლობით საბჭოში არჩევნები ჩატარდეს არაუგვიანეს 2011 წლის 14 თებერვლისა.
7. არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ „მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების შესაბამისად.
8. არჩევნების შედეგები გამოიკრას არჩევნების ჩატარების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილზე, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდითი მედიის ორგანოში (გაზეთ „24 საათში");
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი